

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტი შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით.

2011 წელს საქართველო გახდა გლობალური ფორუმის წევრი და იკისრა საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ვალდებულება. ერთ-ერთ ასეთ სტანდარტს წარმოადგენს ანგარიშგების საერთო სტანდარტი (CRS), რომელიც დიდი ოცეულის მოთხოვნის საფუძველზე 2014 წლის 15 ივლისს დამტკიცდა OECD-ს მიერ. სტანდარტის თანახმად, იურისდიქციებმა ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული ინფორმაცია წელიწადში ერთხელ ავტომატურ რეჟიმში უნდა გაცვალონ სხვა იურისდიქციებთან. ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის მიზანია, საგადასახადო გამჭვირვალობისა და კანონშესაბამისობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, გლობალიზაციის პირობებში სხვა იურისდიქციებში გადასახადებისთვის თავის არიდების შესაძლებლობების ზრდაზე საპასუხოდ.

ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს 1988 წლის 25 იანვრის კონვენცია „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ (მუხლის 6), რომელსაც საქართველო მიუერთდა 2011 წლის პირველ ივნისს. აღნიშნული სტანდარტის დანერგვის მიზნით, აუცილებელია „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივ შეთანხმებაზე მიერთება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

გაცვლითი ურთიერთობების ასამოქმედებლად, საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს დეკლარაციას, რომლითაც იგი განაცხადებს თანხმობას „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივ შეთანხმებასთან (CRS MCAA) მიერთების თაობაზე და უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას.

ანგარიშგების საერთო სტანდარტი ადგენს:

- 1) ფინანსური ანგარიშგების სახეებს, რომელთა შესახებაც კომპეტენტურმა უწყებებმა უნდა მოიპოვონ ინფორმაცია ფინანსური ინსტიტუტებისგან.
- 2) ფინანსური ინსტიტუტების მიერ სათანადო პროცედურების განხორციელების წესს, რომლის მიხედვითაც ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს კომპეტენტური უწყებისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის განსაზღვრა.
- 3) კომპეტენტურ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის ფორმატს, პერიოდს და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კომპეტენტური უწყება, რომელსაც წარმოადგენს საგადასახადო ორგანო - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი -შემოსავლების სამსახური (შემდგომში -შემოსავლების სამსახური), როგორც „ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA) მონაწილე მხარე, პასუხისმგებელია საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტებისგან მოიპოვოს ანგარიშგების საერთო სტანდარტით (CRS) დადგენილი ინფორმაცია; გადასცეს იგი სხვა იურისდიქციების კომპეტენტურ უწყებებს; და აწარმოოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ანგარიშგების საერთო სტანდარტით (CRS) დადგენილი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი.

ამასთან, „ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმების და ანგარიშგების საერთო სტანდარტის (CRS) საფუძველზე შემოსავლების სამსახური ყოველწლიურად, დადგენილი ფორმით, მიიღებს ინფორმაციას საქართველოს რეზიდენტების მიერ უცხო ქვეყნის ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფინანსურ ანგარიშებზე მიღებული შემოსავლების შესახებ.

კანონპროექტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ხელს შეუწყობს შემოსავლების სამსახურს დაკისრებული კომპეტენციების ეფექტურად შესრულებაში.

გარდა ამისა, ცვლილებები წახალისებს გადასახადის გადამხდელთა ქცევას კანონშესაბამისობის თვალსაზრისით.

ამასთან, აღნიშნულ კანონპროექტს არ ახლავს რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA), ვინაიდან, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 17¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგულირების ზეგავლენის შეფასების მომზადების ვალდებულება არ მოქმედებს, თუ შესაბამისი კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შესაბამისობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

მოქმედი კანონმდებლობით, შემოსავლების სამსახურს არ აქვს უფლებამოსილება დაავალდებულოს საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტები, რომ უზრუნველყონ

მათი მომხმარებლების ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ასევე, ფინანსურ ინსტიტუტებს არ აქვთ ვალდებულება, ანგარიშების საერთო სტანდარტის (CRS) მიზნებისთვის განახორციელონ სათანადო პროცედურები კლიენტების ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, მითითებული საკითხების კანონით მოწესრიგება, რათა შესაძლებელი გახდეს საერთაშორისო შეთანხმებით აღებული ვალდებულების შესრულება.

ა. ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემდეგ, 2023 წლის პირველი იანვრიდან, ფინანსურ ინსტიტუტებს წარმოეშობათ ვალდებულება აწარმოონ ანგარიშების საერთო სტანდარტით (CRS) დადგენილი სათანადო პროცედურები და ამავე სტანდარტით და ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოში განსაზღვრული წესების დაცვით უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება შემოსავლების სამსახურისათვის, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყოველწლიურად, არაუგვიანეს 30 ივნისისა.

ა. გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებს დაეკისრებათ ვალდებულება აწარმოონ ანგარიშების საერთო სტანდარტით (CRS) დადგენილი სათანადო პროცედურები და ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ შემოსავლების სამსახურს; შემოსავლების სამსახურს მიეცემა უფლება, რომ ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული ინფორმაცია გადასცეს უცხო ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებს და განახორციელოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ანგარიშების საერთო სტანდარტთან (CRS) დაკავშირებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შემოწმება და კონტროლი.

კანონპროექტი ასევე ადგენს სანქციის ზომებს, რომელიც დაეკისრება ფინანსურ ინსტიტუტს, ამავე კანონპროექტით შემოღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ა. დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა. ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძირითადი დებულებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან, კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების დაკისრება შესაბამისი სუბიექტებისთვის უნდა მოხდეს საანგარიშო წლის დასაწყისიდან, რადგან საჭიროა მთელი საანგარიშო წლის ინფორმაციის მოგროვება. ამასთან, კანონის სრულად ასამოქმედებლად

საჭირო დებულებები ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საჭიროების შემთხვევაში ხარჯები დაფინანსდება შემოსავლების სამსახურისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და საკუთარი შემოსულობებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლებელია გაზარდოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, ვინაიდან კანონპროექტით გათვალისწინებულია სანქციების დაწესება სამართალდარღვევებისთვის. ამასთან, გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევების ოდენობაზე. კერძოდ, კანონპროექტის შესაბამისად დგინდება შემდეგი ჯარიმები:

- ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით განსაზღვრული ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენის ვადის დარღვევა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ დღეზე, არაუმეტეს 150000 ლარისა;

- ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ, ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, დამატებითი ინფორმაციის წარდგენის თაობაზე საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით; აღნიშნული სამართალდარღვევა ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 20000 ლარის ოდენობით.

- ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის არასრულად/არასწორად წარდგენა, - გამოიწვევს პირის დაჯარიმებას წარდგენილ ინფორმაციაში გამოტოვებული ან არასრულად/არასწორად წარდგენილი ანგარიშგებას დაქვემდებარებული თითოეული ანგარიშისთვის 20000 ლარის ოდენობით, არაუმეტეს 150000 ლარისა თითოეულ საანგარიშო პერიოდზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კანონპროექტით გათვალისწინებულია დამატებითი ფუნქციის განსაზღვრა შემოსავლების სამსახურისთვის, რაც გულისხმობს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილებას კონტროლი განახორციელოს ანგარიშგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე, მიიღოს მისგან აღნიშნული ინფორმაცია და გადასცეს ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებების წევრი იურისდიქციების კომპეტენტურ უწყებებს, თუმცა აღნიშნულს შემოსავლების სამსახური განახორციელებს არსებული ადამიანური რესურსისა და დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღების შემდეგ, ფინანსურ ინსტიტუტებს დაუდგებათ ანგარიშგების საერთო სტანდარტისა (CRS) და კანონით დადგენილი ვალდებულებების დანერგვის და განხორციელების საჭიროება, რაც დაკავშირებული იქნება გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან, მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიების გასამართად, შიდა პროცედურების მოსამზადებლად და ასე შემდეგ. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება თითოეული საფინანსო ინსტიტუტის არსებულ ტექნოლოგიურ გამართულობასა და კადრების კვალიფიკაციაზე. ამასთან, 2021 წლის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებს 14 კომერციული ბანკი; 38 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; ერთი საკრედიტო კავშირი; 32 საგადახდო მომსახურების პროვაიდერი; 9 საბროკერო კომპანია; 1 აქტივების მმართველი კომპანია; 4 არასახელმწიფო საპენსიო სქემა; 2 საინვესტიციო ფონდი და 18 სადაზღვევო ორგანიზაცია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით გათვალისწინებულია ჯარიმების დაწესება სამართალდარღვევებისთვის. კერძოდ:

- ანგარიშგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით განსაზღვრული ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის

წარდგენის ვადის დარღვევა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ დღეზე, არაუმეტეს 150000 ლარისა;

- ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ, ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, დამატებითი ინფორმაციის წარდგენის თაობაზე საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით; აღნიშნული სამართალდარღვევა ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 20000 ლარის ოდენობით.

- ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის არასრულად/არასწორად წარდგენა, - გამოიწვევს პირის დაჯარიმებას წარდგენილ ინფორმაციაში გამოტოვებული ან არასრულად/არასწორად წარდგენილი ანგარიშგებას დაქვემდებარებული თითოეული ანგარიშისთვის 20000 ლარის ოდენობით, არაუმეტეს 150000 ლარისა თითოეულ საანგარიშო პერიოდზე.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი ზეგავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

კანონპროექტი შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით.

ამასთან, ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების

ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს 1988 წლის 25 იანვრის კონვენცია „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ (მუხლის 6), რომელსაც საქართველო მიუერთდა 2011 წლის პირველ ივნისს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევს სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მოსამზადებლად შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდნენ სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, ასევე ექსპერტები უცხო ქვეყნის უწყებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულებების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნის გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა.